№ 177 აგვისტო 15, პარასკევი 1886 აგვისტო 15, პარასკევი № 177

გაზეთი ღირს			
თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და კრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

დღესასწაულის გამო ხვალ, შაბათს გაზეთი არ გამოვა.

კერძო სასწავლებელი ქუთაისში.

მმართველი კერძო მოსამზადებელის სასწავლებლისა ქ. ქუთაისში, ეფროსინე იაკობის ასული შიშინაძისა, აცხადებს, რომ მომავალის ენკენისთვისათვის ამ სასწავლებელში გაიხსნება კიდევ ერთი განყოფილება, რადგან შარშანდელმა გამოცდილებამ დაარწმუნა მასწავლებლები, რომ ორის წლის განმავლობაში შეუძლებელია მომზადდნენ გიმნაზიის მოსამზადებლის კლასის უფროსს განყოფილებისათვის და საქალებო გიმნაზიის პირველის კლასისათვის ისეთი ყმაწვილები, რომელთაც ჯერ არაფერი არ იციან. მაშასადამე, უცოდინარი ყმაწვილებისათვის ენკენისთვიდგან სწავლების კურსი იქნება სამის წლისა. სასწავლებელში მიიღებიან ვაჟები და ქალები: პირველ განყოფილებაში შვიდის წლისანი, უეგზამენოდ და მეორეში და მესამეში რვა და ცხრა წლისანი შესაფერის ეგზამენით. ფასი სასწავლებო წლისა ორმოც-და-ხუთი მანეთია, რომელიც შემოტანილი უნდა იქმნეს მესამედობით წინ-და-წინ, ე. ი. პირველს ენკენისთვეს, პირველს ქრისტეშობისთვეს და პირველს მარტს. ყმაწვილების მიღება იქმნება მარიამობისთვის ოც და ხუთიდგან ენკენისთვის ათამდის. (5—5)

ტფილისი, 14 აგვისტო

მთავარ-მინისტრად შეიქმნა თუ არა ინგლისში სალისბურიო, ამბობენ გაზეთები და ნამეტნავად პეტერბურგისა და მოსკოვისანი, მაშინვე მიყუჩებული საპოლიტიკო საქმეები ხელ-ახლად აიშალნენო. მართალიც არის: სალისბურიმ ჩამოაგდო ეგვიპტის საქმეზედ ლაპარაკი იმ მხრით, რომ ეგვიპტის საქმე საკუთრად თვითონ უნდა ჩაიგდოს ხელში და ამ სახით ეს საქმე, რომელიც დიდად საინტერესოა საფრანგეთისათვის, ევროპის სახელმწიფოთა ზედ-მოქმედების გარედ უნდა დააყენოს. თქმა არ უნდა, ამაში გერმანია და გერმანიის ჩანჩალა ავსტრიაცა თუ პირ-და-პირ არა, უჩუმარად მაინც ხელს შეუწყობენ და იქნება აქეზებენ კიდეც ამაზედ. გარდა ამისა, რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილ დეპეშებიდამ სჩანს, რომ მარკიზ სალისბურის გამოუცხადებია, — ავგანის საქმე ჯერ გათავებული არ არისო და დღეს იმ მდგომარეობაშია, რომ არც ძალიან საშიშარია, მაგრამ არც კი ისეა, საყურადღებო არ იყოს და კაცი არ გაუფრთხილდესო. ერთმა ინგლისურმა გაზეთმა კიდეც გამოამჟღავნა ვითომც, ავგანის საქმის გამო სალისბურის სამინისტროს გადუწყვეტია კიდეც ავგანსა და რუსეთს შუა მიჯნების დამდებს კამისიას თავის საქმეზედ ხელი აღებინოს და უკან დაიბაროსო. რუსეთის მიერ დაჭერამ და დაპყრობამ ევრედ-წოდებულის «ლაზარევის» ნავთ-სადგურისამ დიდი მიზეზი მისცა სალისბურის ჩინეთთან, იაპონიასთან და კორეასთან საქმე გაეჩხლართა, გაება რუსეთისათვის. ყოველ ამის გარდა ყველას ახსოვს და ეხლა ბრუსელის გაზეთი „Nord“-იც იხსენიებს, რომ შარშან თითქმის ამ დროსვე სალისბურის ხელი მოქმედობდაო აღმოსავლეთ რუმელიაში და ამ ხელმა მოახდინაო არეულობა ფილიპოპოლისაო. მაშინ ამას უარს ჰყოფდნენ ინგლისის გაზეთები და დღეს კი თითქმის საჭიროდ არა ჰრაცხენ ეს ამბავი დაჰმალონ. ესეც უნდა მივიღოთ სახეში, რომ რაკი სალისბური მთავარ-მინისტრად გახდა, ზოგი გაზეთები ევროპისა და რუსეთისანი უფრო—სულ იმას გაიძახოდნენ თავისის კორრესპონდენტების პირით, რომ ბოლგარიაში საქმეები რიგზე ვერ მიდისო და ალექსანდრე მთავარს და მის სამინისტროს კარაველოვისას დიდი განსაცდელი მოელისო. ეს ამბავი არავის არა სჯეროდა და ჰფიქრობდნენ, ალექსანდრე მთავრის მტრობით მოსდით ზოგიერთს გაზეთებსა, რომელთაც ალექსანდრე მთავარი ბოლგარიის ტახტზედ ეხამუშებათო.

ამავე დროს გაზეთები საფრანგეთისა რაღაცა შიშმა აიტანა და გულ-დაჯერებით ამბობდნენ, კისინგენსა და გასტეინში მინისტრებისა და იმპერატორების ერთად შეყრამა და მოლაპარაკებამაო «ოთხთა ზავი» შესძინა ევროპასაო: გერმანია, ავსტრი-ვენგრია, იტალია და ინგლისი ერთმანეთს მიუდგნენო. ჩვენ არა გვგონია, ეს შიში საფრანგეთის გაზეთებისა მართალს რასმეს მოასწავებდეს, ჩვენ ეს ამბავი მოვიყვანეთ მხოლოდ იმისთვის, რომ ამაზედ ყურადღება მიგვექცია როგორც დროთა ნიშანისათვის.

პეტერბურგის გაზეთებს თითქო რაღაც ალღო ჰქონდათ აღებული. ერთი ამისთანა გაზეთი 8 ს აგვისტოს ამბობდა:

> „ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ მყოფ სლავიანთა ქვეყნებიდამ არა-სანუგეშო ამბები მოდისო საქმეთა მდინარეობის და იქაურების სურვილის მიმართულების თაობაზედაო. ამის გამო საქმეების აშლა ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ არამც თუ შესაძლოა, არამედ ადვილად საფიქრებელიცაო. როგორც ეტყობათ, ვენაში და ბერლინში ამ თვალით უყურებენ დღევანდელს საქმეთა მდგომარეობასა და იმიტომაც ეჭვი არ არის, რომ ავსტრიისა და გერმანიის პოლიტიკის ხელ მძღვანელთ მოლაპარაკების საგნად კისინგენსა და გასტეინში ექნებოდათ ის თუ,—როგორ მოიქცნენ... ყველაზედ უფრო მეტი საფიქრებელია ბოლგარიის დღევანდელი მდგომარეობაო და ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყველას, გაფაციცებით თვალი ადევნოს ყოველს იმას, რაც ამ ქვეყანაში დღეს ჰხდებაო.“

10-ს აგვისტოს უეცრად ყუმბარასავით გატყვრა დეპეშა, რომ:

> „როცა ალექსანდრე მთავარი სოფიიდამ იყო წასული, კარაველოვმა, ცანკოვმა და როდოსლავოვმა დააწესეს დროებითი მართებლობა და გამოაცხადეს, მთავარი ალექსანდრე გადაყენებულ იქმნაო. მთავარი დაატყვევეს ვიდდინში, როცა ჯარებს ათვალიერებდა და თვით მას ხელი მოაწერინეს ტახტიდამ გადადგომის ოქმზედაო.“

ეს დეპეშა უცნაური და დაუჯერებელი იყო იმ მხრით, რომ კარაველოვი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგია და ცანკოვი, რომელიც რუსეთის მომხრეა, — ერთად იყვნენ ხსენებულნი. რუსეთის გამო ამ ორთა კაცთა შორის ისეთი „დიდი ზღვარი“ იდვა, რომ არას გზით მათი ერთს საქმეში გაბმა და ერთად მორიგება და მოქმედება მოსაფიქრებელი და მოსალოდნელი არ არის.

მეორეს დღეს დეპეშა მოვიდა, რომ კარაველოვის დასი ამ საქმეში არ ერიაო და მართლადაც დროებით შემდგარ მართებლობის კაცთა სიაში არც კარაველოვი და არც მისის დასის ვინმე დასახელებული არ არის. აშკარაა, რუსეთის მომხრე დასმა გაიმარჯვა ბოლგარიაში.

12 აგვისტოდამ დეპეშებმა გვაცნობეს, რომ მეცინოვნენი ტირ-

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crim d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

არმანი გამოერკვია იმ დავიწყებისაგან, რომელშიაც იმყოფებოდა, შეჰხედა ქალს და ქალმა კვლავ იგრძნო იმისი უცნაური დამცინავი სახის მეტყველობა. ამ მეტყველობის გამო ბევრი მწუხარება გამოევლო ქალს და აი ეხლაც იგრძნო: ქალსა და კაცს შუა უცებ თითქო ფარდა ჩამოეშვაო. „მაგრამ, ვგონებ, არა მითქვამს-რა ისეთი, რისთვისაც არმანი უნდა გაჯავრებულიყო.“ ამ დროს კაცმა უკვე ასეთი პასუხი მისცა.

— სად შევხვდეთ ერთმანერთსა? ჩემთან? მე შემიძლიან ჩემი მსახური გავიცალო სადმე შუაღლემდე.

— ო, არა, აჩქარებით უპასუხა ქალმა... არა, შენთან არა. ქალს წარმოუდგა თვალ-წინ, რომ სხვა დედა-კაცნიცა ყოფილან არმანთან— ის სხვა დედა-კაცნი, რომელნიც მუდამ ატუზულნი არიან ახალ საყვარელ ქალსა და იმის შუა, ვინც მიყვარსო. ატუზულნი არიან, როგორც მუქარანი იმისი, რომ მეც იმათ შემადარებენო და ჩემს პირველს ალერსსაც იმათის მიხედვით ჩირქს მოაცხობენო. სიყვარულს თვალისათვის ერთი და იგივე გარეგანი ნიშნები აქვსო. ყველა ხომ გულში არ იხედება და იქ არ არჩევს, ვისი სიყვარულია წმინდა და მაღალიო.

— გინდა, —ამბობდა არმანი, — მე ვსთხოვ რომელსამე ჩემს მეგობარს თავისი სახლი დამითმოს?..

ქალმა კვლავ დაღუნა თავი. ყურს თითქო მოესმა ამ წამსვე, რა ლაპარაკიც გაიმართებოდა ორთავე მეგობარს შუა... ელენე იყო ქმრიანი და დღევანდლამდე პატიოსანი დედა-კაცი... ძალიან კარგად ვიციო, რომ ის უცნობი მეგობარი არმანისა, რომლისათვისაც უნდა მიემართნა, ისე არ შეჰხედავს ჩემს სიყვარულს, როგორც მე ვუცქერიო. ჭეშმარიტი გულის-თქმა და ვნება, გულ-წრფელი სიყვარული, ელენეს აზრით, წმინდად ჰქმნიდა ყოველსავე, რაც კი უუცუდესი შეცდომილებაა ქვეყანაზედ. მაგრამ ის უცნობი კი მხოლოდ სიყვარულის ცელქობას დაარქმევს ჩემს გრძნობასა და დაცინვას დაუწყებსო. ჟრუანტელმა დაუარა ტანში და ცახცახმა აიტანა ქალი. კვლავ შეჰხედა არმანს. ო, რა ზიზღს მოჰგვრიდა ამ ქალს, რომ შესძლებოდა და თავის სატრფოს პასუხები ამოეკითხნა! ცუღლუტობა სიყვარულში პირველი არ იყო დე-კერნის მხრით. ეს კაცი დარწმუნებული იყო, რომ ელენესაგანაც ქმრის ღალატი პირველი არ იქმნებოდა. ქალმა უთხრა, რომ შენ ჩემი პირველი სიყვარული ხარო და მართალიც იყო ესა. მაგრამ რითი შეიძლება დაამტკიცოს ადამიანმა ამ გვარის ფიცის სიმართლე? ეს ყმაწვილი კაცი იმდენსა სტყუოდა თვითონ, და იმდენს ტყუილსაც ელაპარაკებოდნენ, რომ აღარავის არაფერს არ უჯერებდა. ურწმუნოება მთავარი გრძნობა იყო ამ კაცისა. ეს ყოველად საზიზღარი ლაპარაკი იმიტომ დაიწყო, რომ ქალის პასუხით მიხვედრილიყო, რამდენად გამოცდილია არშიყობის საქმეებშიო; მხოლოდ ერთი ცნობის-მოყვარეობა იყო მიზეზი, რომ ასეთის დაჟინებითა ლაპარაკობდა ამ საგანზედ; ქალი კი ამ დროს იწვოდა სირცხვილითა. ქალმა რომ უარი უთხრა, ჩემს სახლში ვერ დაგნებდებიო, არმანმა ისე განმარტა, რომ უთუოდ ანგარიშით იქცევა ასეო; რომ არც ჩემთან მოინდომა—ეს კიდევ სიფრთხილის მიზეზით არისო. როცა უარი მითხრა, შენის მეგობრის სახლში არ გამოგყვებიო,— იმისი ეშინიან, რომ უცხო შეიტყობს ჩვენს ამბავსაო. მაშ რა უნდა ამ ქალსაო.

— მე რომ სხვა პატარა სახლი მოვაწყო სადმე? განაგრძო არმანმა.

ქალი ჩუმად იყო, თუმცა ეს იყო მისი საიდუმლო სურვილი. მაგრამ მაშინვე თანხმობას ვერ აცხადებდა, ეშინოდა, ვაი თუ იფიქროს, ასე მალე იმიტომ დათანხმდა, რომ ესწრაფება საქმეო. ამას გარდა ქალს კიდევ იმისი ეშინოდა, რომ ვაი თუ ყოველ-დღე ერთს ალაგას შეხვედრით ყურადღება მივიქციოთო, „პირბადიანი ქალი“ შევიქნეო და მდგურებმა თვალ-ყური ადევნონ ხოლმე ყოველთვის ჩემს მისვლასაო. მაინც დასთანხმდებოდა ამაზე, თუმცა აქ ფულის დახარჯვაც სახეში იყო მისალები და ესეები კი ძალიან ეჯავრებოდა ახალ-გაზდა ქალს. დიაღ დასთანხმდებოდა, ერთი მიზეზი რომ კიდევ არა ჰქონოდა. მხოლოდ ეს მიზეზი დაასახელა მან.

— ცუდს ნურას იფიქრებ ჩემზე, არმან, ჩაუფიქრდი ჩემს მდგომარეობას... მე მინდოდა ისეთს ალაგას შევყროდით მარტოკანი ერთმანერთს, რომ იმ ალაგისა შემდეგ კვალიც აღარა დარჩენილიყო-რა... აი იმ სახლებს, რომელსაც მოაწყობ ჩემთვის... რა მოუვა, თუ ოდესმე აღარ გეყვარები? აი ჰხედავ... მე ჯერ ეხლავე არ შემიძლიან ავიტანო ამის ფიქრიც-კი. ნუ გამამტყუნებ, ჩემო კარგო... ნუ მისაყვედურებ, ჩემს გულშიაც ჩამოიხედე...

ამ სიტყვებით გამოითქვა ღრმად რომანული ხასიათი ამ ქალის ბუნებისა და გამოაცხადა საიდუმლო ტკივილი მისის გულისა. თუმცა რიგიანად გაგებული არა ჰქონდა არმანის ხასიათი, მაგრამ არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ამ კაცს ზნედა სჭირდა, ყოველივე კარგი ავად აეხსნა. თვალად ჩვილი, გულში-კი ძალიან მშრალი კაცი იყო არმანი, ამიტომ რომ ამ კაცის გული და გონების თვალი სრულიად ერთმანერთს არ უდგებოდა. ქალი ჰხედავდა, რომ მიუნდობლობა ამ კაცისა უცნაურის სისწრაფითა მატულობდა, ქალი ჰგრძნობდა, რომ არმანი ეჭვით უცქეროდა. ამის მიზეზი უთუოდ ის არისო, ფიქრობდა თავის თავად ელენე, რომ იმის სურვილზე უარს ვამბობო. აი ამიტომ გადასწყვიტა ქალმა, ავდგები და დავუმტკიცებ სიყვარულსა და მოვსპობ იმის ეჭვსაცაო. «მერე აღარ დაიწყებს ეჭვიანობასაო», ჰფიქრობდა ქალი და გულით სტკბებოდა, ოღონდ დანაშაულობად კი ნუ ჩამითვლის, თუ რამ საწყენი მითქვამს იმისთვის აქამომდეო. ქალი ადგა, მიუახლოვდა არმანს, დაეყრდო მის სავარძელს და შემოაჭდო ხელები ყმაწვილის კაცის შუბლს.—ოჰ! სთქვა მან, ნეტავი ვიცოდე, რა ამბავია აქ... ეს ერთის ხელის დადება პატარა ადგილია და ამ პატარა ადგილზედ კია დამოკიდებული ჩემი ბედნიერებაცა და უბედურობაცა.

— შენ რომ მანდ ჩახედვა შეგეძლოს, —სთქვა პასუხად არმანმა, —მაგ ადგილას შენს სახეს დაინახავდი.

---

*) იხ. „ივერია“ № 176

ნოვისა და შუმლისა, აგრეთვე მომეტებული ნაწილი მხედრობისა რუმელიის და ბოლგარიისა ალექსანდრე მთავარს მიემხროვო.

გერმანიამ თითქო მაშინვე ხელი დაიბანა და თავისის გაზეთის პირით გამოაცხადა, რომ ბოლგარიაში მომხდარი საქმე არაფერს საშიშარს არას მოასწავებსო, რადგანაც „სამთა იმპერატორთა ზავი" ეხლა უფრო მკვიდრად არის, ვიდრე ოდესმე ყოფილაო. მეორე გაზეთმა დაუმატა, რომ ბოლგარიაში მომხდარი საქმე გერმანიის ინტერესს არ შეეხებაო. ავსტრი ვენგრიის გაზეთმა კი სთქვა, რომ ალექსანდრე მთავრის გადაყენება არა გვგონია მოულოდნელი რამ ყოფილიყოს დიდთა სახელმწიფოთათვისაო და არც ისა გვგონია, რომ დიპლომატიის წრიდამ გამოვიდეს და საევროპიო საქმედ გარდიქცესო.

რუსეთის ოფიციალური გაზეთი ამბობს, ბოლგარიისა და რუმელიის სახელმწიფო კაცნი, იმედია, ეხლა მაინც მიხვდებიანო, რომ ამ ქვეყნების ბედი ეხლა მათს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული და სახელმწიფონი, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ იმ ქვეყნების საქმე, მშვიდობიანობის მოსურნენი არიანო. ეხლა ეგ კაცები იმის ცდასა და ზრუნვაში უნდა იყვნენო, რომ როგორმე დიდთა სახელმწიფოთა გული მოიგონო.

თუმცა გერმანიის გაზეთები და მასთან ერთად ავსტრიისაც იძახიან, რომ ბოლგარიაში მომხდარი საქმე არაფერს შიშს არ მოასწავებსო.

მაგრამ ბირჟა, როგორც ეტყობა, დაუფრთხია ბოლგარიის საქმეს და ვექსილის კურსები დაწეულა, ოქროს ფასი აწეულა. ვინ არ იცის, რომ ბირჟა ამისთანაებში მეტად მგრძნობიერია, თუმცა მეტის-მეტის სიფრთხილით ამანაც-კი იცის ზოგჯერ შეშინებულსავით დოს ბერვა. საყურადღებო უფრო ის არის, რომ ინგლისის პარლამენტში სამინისტროს გამოუცხადებია — ბოლგარიის საქმეებს ინგლისი შიშის თვალით უცქერისო და ამასთან ისიც დაუმატებია, რომ, რუსეთის თანხმობითაო, მიჯნის დამდები კამისია შუა-აზიაში დათხოვნილი იქმნაო.

აი გარემოებანი, რომელთაგანი ზოგი წინ უძღოდა ამ უცნაურს საქმეს ბოლგარიისას და ზოგი ეხლა გარს ახვევია და რომელნიც, დროთა ვითარების გამო, სრულად მოყვანილნი ვერ იქმნენ ჩვენ მიერ. ეს გარემოებანი, კაცი რომ დაუფიქრდეს, ცოტა ოდნად მაინც გვიშველიან იმ ბარდებიდამ გამოსვლას, რაშიაც ბოლგარიის საქმე დღეს ასე უეცრად თვალ-წინ წარმოგვიდგა. ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

ახალი ამბავი

⁂ ბათუმიდგან გვწერენ: ბათუმში ორი საყდარია მართლ-მადიდებელთათვის. ერთი მათგანი საკუთრივ ბერძნებისაა, სადაც წირვა-ლოცვა ბერძნულს ენაზე სწარმოებს. მეორე საყდარი ბათუმელთა რუსთა და ქართველთათვის არის აშენებული. ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა სწარმოებს სლავიანურს ენაზე. რადგანაც ქართველებს არ ესმით ეს სალმთო ენა, ამიტომ იგინი აპირებენ სთხოვონ სამეგრელო-გურიის მღვდელ-მთავარს, მისს ყოვლად უსამღვდელოებას გრიგოლს, რათა მან იშუამავლოს, სადაც ჯერ არს, რომ ბათუმელ ქართველებს სასოების და რელიგიურის გრძნობების გასაძლიერებლადა მიეცესთ ღონის-ძიება ქართულად მოისმინონ ხოლმე წირვა-ლოცვა. ეს პატივი მაინც გვეცენო, ამბობენ ბათუმელი ქართველები, რომ ზიარების ლოცვა «მრწამს, უფალო, და ვალიარებ» ქართულად გაგვაგონონო, რომ გულს-მოდგინეთ და ჩვეულებრივის სასოებით მივიღოთო წმინდა საიდუმლოო. სხვა ფრიადაც საჭირო ბათუმში ქართული წირვა ლოცვა. ამ აზრის განსასურათებლად მოვიყვან ერთს ამბავს: ამას წინად ბათუმში სწირა მღვდელ-მთავარმა გრიგოლმა, წირვაზე სხვათა შორის დაესწრო ერთი მაჰმადიანი ქართველი, რომელმაც სამი მანეთი მისცა მესანთლეს და უთხრა კელაპტარი დაუნთეო ხატებს, ქართულ ენაზედ რო ყოფილიყო წირვა, გავიგებდი რასმეო და ასე მალე არ გამოვიდოდი საყდრიდგან, გამოსვლისათანავე სთქვა კეთილ მორწმუნე მოსლემინმა...

⁂ ჩვენის გაზეთის დღევანდელს № 176-ში წევიდამ მოწერილს ამბავში მოხსენებულია, რომ წევის ეკკლესიაში ძველი ხელთ-ნაწერი წიგნიაო, სახელად „ეფუთი", რომელიც მეცამეტე საუკუნეს ეკუთვნისო. შეიძლება იმ ეკკლესიაში სხვა ძველი წიგნებიც იყოს, და თუ სხვები არ აღმოჩნდება, ეს „ეფუთი" მაინც გამოუგზავნონ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საცავს (ბიბლიოთეკას). უეჭველია ეკკლესიიდამ დღეს თუ ხვალ გაიტანს ვინმე; ან დაიკარგება, ან დახევს ვინმე და არა სჯობიან, რონ ჩვენს საკუთარს წიგნთ-საცავში შევინახოთ?

⁂ ქართლიდამ კვლავ გვატყობინებენ, რომ ლიახვის ხეობაზე ძალიან გავრცელებულია პირუტყვთა სენი — თურქულიო.

⁂ იქიდამვე მოგვივიდა ცნობა, რომ სოფელ ქვემო-ნიქოზში საშინლად გავრცელებულია ბაშვების ავადმყოფობა «მუცელა», რომელიც მუსრს ავლებს ყმაწვილებსაო.

⁂ რუისში ყოველ „ფერი-ცვალობას" მოდიან გორისა და სხვა ახლო მახლო ქალაქების და დაბების მოვაჭრეები; მართავენ ქოხებს, კარვებს და ასაღებენ უვარგისს და ნაყარნუყარს საქონელს. მაგრამ წლეულს ერთობ გადააჭარბეს თავიანთს არაკაცურს საქციელს. მოიტანეს რამოდენიმე ოცი და ორმოცი ცალი სრულებით დამპალი და აყროლებული თევზეულობა და ასაღებდნენ ხალხში. თუმცა გორიდამ იყო გამოგზავნილი წესიერების დაცვისათვის მოხელე ჩაფრებით, მაგრამ არ მიუქცევია ამ ხალხის მცარცველებისათვის ყურადღება, რადგანაც სხვა საქმეები ბევრი ჰქონდა. დღეობებში უპირველესს ყოვლისა მოხელეებმა უნდა ხორაგეულს მიაქციონ ყურადღება, რომ ხალხი არ მოიწამლოს და გადამდები სენი არ გაჩნდეს.

⁂ ამ თთვის შვიდს სკრამიდამ რუისში ჩამოუყვანიათ ერთი ვიღაც ავად-მყოფი ტუსაღი, რომელიც სრულებით დალურჯებული იყო სახეზედაო; ტუსაღი უნდა ჩაეყვანათ გორის სატუსაღოში; შაუბეს ურემი და დასძრეს ალაგიდგან თუ არა, მაშინვე გარდაიცვალაო. მამასახლისმა ურემი მიცვალებულიანათ დააყენა სოფელში და მაშინვე მაზრის უფროსთან გაგზავნა კაცი, რომ ექიმი გამოეგზავნათ და ნება მიეცათ დამარხვისა. მიცვალებული ოთხი დღე ურემზედ იდო შუა სოფელში. მერე «დემეტრეს» ეკკლესიასთან აიტანეს და დაავდეს ურმითვე. გარდა იმისა, რომ საშინელი სუნი აქვს, სოფელს ძრიელ ეშინია: „ვაი თუ ჭირი იყოს რამეო" (ტუსაღი რუსსა ჰგავს), მაგრამ ჯერაც ყურადღება არავის მიუქცევიაო.

⁂ საქალაქო გამგეობამ როგორც იყო მიაქცია ყურადღება ანჩხატისა, კვირაცხოვლისა და მის გარეშემო მყოფს ქუჩებს და დაავგევინა. მაგრამ რა გამოვიდა, მცხოვრებლებს დღეს ისევ აუვსიათ ქუჩები ყველანაირის სიბინძურითა: ისეთს ყოფაშია ქუჩები, თითქო გუშინ ცოცხი არ მიჰკარებიაო. ყოველ დღე რომ აგვევინონ, ვერას გააწყობენ, თუ თვით ამ ქუჩაზე მცხოვრებლებს სასტიკად არ აღუკრძალევენ, რომ სარეცხის წყალი არ გადმოაქციონ, და სხვა და სხვა ხილეულობის ნაფცქვენ-ნაჭამი არ გადმოჰყარონ.

⁂ კახეთში ბევრის ვენახებისათვის შეუყრია ნაცარი — Oidium tusceri, მაგრამ მცხოვრებლები ყურადღებას არ აქცევენო, იწერებიან იქიდამ. მხოლოდ ორმა ვენახის პატრონმა, თავად რ. ვ. და დ. პ. ამ ვაზებს გოგირდი შემოაყარეს და სალს ვაზებსაც თვალ-ყურს ადევნებენო. აქაურებსა ჰგონიათ, რომ ნაცარი მარტო იმ ვაზებს-ღა გააფუჭებს, რომელსაც აყრია და არ გავრცელდებაო. მაგრამ საქმით-კი არა მართლდება, 10 დღის წინად რომ 6—7 ვაზსა ჰქონდა შეყრილი ნაცარი, ეხლა 30—40 ვაზსა აქვს შეყრილიო. («კავკაზი»)

⁂ იქიდგანვე იწერებიან: წლეულს არც საქონელმა იხეირა კახეთშიო. აგერ მესამე თთვეა, რაც საქონელი თურქულით ავად-მყოფობს. ზოგიერთა ალაგას ისეა გავრცელებული ეს სენი, რომ გლეხებმა უსაქონლობით პურის ლეწვა შეაყენესო. ასე გასინჯეთ, ღორებსაც კი შეეყარათ თურქული და ერთს გლეხს ორი ღორი მოუკვდაო. გლეხმა დახოცილის ღორების ლეში ხევში გადაჰყარა თურმე. ამ გლეხისა და სხვა სოფლელე-

---

— ხვალ, ხვალ ჩავიხედავ და დავინახავ, ეშმაკობითა სთქვა ქალმა.

— ხვალა, ხვალა, — გაიღიმა არმანმა, — მაგრამ სად შევხვდეთ ერთმანერთსა? დაგვრჩა მხოლოდ ან ქირის ცალკე ოთახები, ან კიდევ და სასტუმრო სახლი.

ქირის ცალკე ოთახები! სასტუმრო სახლი! ამ სიტყვებმა კანკალი დააწყებინა ელენეს. დიდი სირცხვილი ფარულისა და აღკრძალულის სიყვარულისა, ელენეს აზრით, ამ სიტყვებით გამოიხატებოდა. აი დახურული ფაეტონი... ორ-აზროვანი ღიმილი მეეტლესი... აი მისავალიცა ერთ-ერთის იმ სახლისა, სადაც იმდენი ქალები შედიან მალვითა და გულის-კანკალით... მერე ოთახის მოწყობილობა, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ იყო მოწამე სხვათა-და-სხვათა ტრფიალებისა... ყველა ეს მართალია, მაგრამ მართალია ისიცა, რომ აქ თითქო ყოველივე უსახელოა... და რადგანაც სირცხვილი ყველგან სირცხვილი იქნება, — მაინც უფრო ნაკლებ სათაკილოა სირცხვილი ამ ნაირს ადგილას. ქალსა სწამდა არმანის ზრდილობა და დარწმუნებული იყო, რომ ისეთს ალაგას არ წაიყვანდა, სადაც სხვა ქალებიც დაჰყავდა. იქნება თვით მე კერძოდ ვიგრძნო ზიზღი იქაო, მაგრამ ისეთი-კი არა იქნება-რა, რაც არსებითად შეურაცხ-ჰყოფს ჩემს გრძნობასაო. ამიტომ ვაჟ-კაცურად გაბედვითა ჰკითხა არმანს:

— განა იმდენი დრო გექმნება, რომ დილითვე მოსძებნო მაგისთანა სახლი?..

— ვიპოვი... დაფიქრდა ერთს წამს და უპასუხა არმანმა. მე ერთი პატიოსანი და მართებული სახლი ვიცი, სადაც ჩამოხდებოდა ხოლმე ერთი ჩემი ნაცნობი ინგლისელი. ხვალ 11, ან 12 საათზე გამოგიგზავნი წიგნებსა და ბარათს. ბარათში ეწერება ადრესი სახლისა და № სადგომისა... ვითომ შენ მთხოვე ეს ადრესი ერთ შენის ნაცნობ სოფლელ ქალისათვის... შენ მაინც მაშინვე უნდა დასწვა ეს ბარათი. მოდი მაშინ, როცა მოახერხებ... მე სულ იქ ვიქნები შუა-დღემდე და მოგელოდები; თუ არ მოხვალ, არ დაგემდურები... მეცოდინება, რომ უთუოდ ვერ მოახერხე და იმიტომ ვერ მოხვედი. ქალი ისე ისმენდა ამ ლაპარაკს, თითქო სწუხს კიდეცა და უხარიან კიდეცაო: — სწუხს იმიტომ, რომ ჰგრძნობდა, რა ძნელია დაპირება აესრულოვო და უხაროდა კიდევ იმიტომ, რომ ქალს ეგონა ყველა ეს ზრუნვა და ლაპარაკი ამტკიცებს, რა ძრიელ უყვარვარ ამ კაცსაო, მაშინ როდესაც ამ ლაპარაკით უნდა შეეტყო, რა გულის პატრონი იყო ამ ქალის მოტრფიალე კაცი. ასე ლაპარაკობდნენ შეყვარებულნი პატარა მშვიდობიანს სასტუმროში იმ დრომდე, ვიდრე ეტლის გრიალი არ მოესმათ და ალფრედის მოსვლა არ შეიტყეს.

— მშვიდობით, ჩემო ძვირფასო... სთქვა ელენემ, გამოართვა არმანს ხელი და აკოცა. ასე იცოდა ელენემ, როცა სიყვარულის და ალერსიანობის ქინი მოუვლიდა. როცა ალფრედი შემოვიდა, ქალს უკვე ხელ-საქმე ეჭირა და საქმობდა.

— უჰ! — დაიძახა მხიარულად ალფრედმა და მაშინვე ცოლს შეჰხედა თავის კეთილის თვალებითა.

არმანმა ძალიან კარგად იცოდა ეს კეთილი შეხედულება ალფრედისა, რომელიც არ გამოსცვლოდა ყმაწვილობის აქედ, იმ დროდგან დაწყობილი, როცა ორთავენი ბ-ს ინსტიტუტში იყვნენ და იქიდამ დადიოდნენ ჰენრიხ მე-IV სასწავლებელში. ამ დროს არმანს გულში უსიამოვნო გრძნობამ დაუარა, მაგრამ ეს უსიამოვნო გრძნობა იმისაგან კი არ იყო, რომ ნანობდა, რად ვატყუებ იმ კაცსა, რომელსაც ყმაწვილობიდამვე ვიცნობო, იმას აწუხებდა ის ფიქრი, რომ ელენე ატყუებს ამ გულ-უბრყვილო ადამიანსაო. მამა-კაცსა სჭირს ეს ახირებული თვისება. თვითონვე შეიძაგებს ხოლმე იმ ქალს, რომელიც თვითონვე მოატყუა და თვითონვე შეაცდინა, შეიძაგებს ხოლმე, იმიტომ-რომ ქალი დაჰნებდა და იმის ქეიფზე გაიარა. ის კი ავიწყდება, რომ უპირველესად თავისი თავი უნდა შეეძაგებინა, იმიტომ-რომ მან შეაცდუნა და მოატყუა. ალფრედმა ამ დროს ხელი გამოართვა ელენეს და დაიწყო ლაპარაკი:

— მე საკმაოდ მოწყენილი ვიყავ დღეს საღამოს... აბა, რა საჩუქარს უნდა მოველოდე ამისათვის შენგან? ძნელი წარმოსადგენია, რა ტანჯვასა ჰგრძნობდა ახალ-გაზდა ქალი, ქმარი რომ ასე თამამად ეუბნებოდა «შენგანაო». ო, რა ძრიელ უნდოდა დაეყვირნა ამ მიუხვედრელის ქმრისათვის: „ვერა ჰხედავთ განა, რომ მე სხვა მიყვარს? გამანებეთ თავი, არ მინდა შენთან..." მაგრამ ამ სასტუმროდამ ორს ოთახს იქით პატარა თეთრ-ფარდებიანი საწოლი იყო, სადაც ეძინა ამ ქალის შვილს, პატარა ანრის... რად იყო ეს სახე პატარა ყმაწვილისა იმდენად სუსტი, რომ ვერ მოაბრუნა ფარულის ტრფიალების გზიდამ და რად-კი იყო ისე ძრიელი, რომ უშლიდა ამ გზაზედ ბოლომდე ევარნა და თავის გულის-თქმას თავისუფლად აჰყოლოდა. იმ დროს წარმოუდგა თვალ-წინ ეს სახე, როცა ქმარი ელაპარაკებოდა... ქალს მაინც არ შეეჯავრა არმანი. ხომ იმან შეაყვარა თავი იმ ქალს, რომელიც მისის მეგობრის ცოლი იყო. მე ჩემი თავი უფრო უნდა მეჯავრებოდეს, იმიტომ-რომ საკმაოდ არ მიყვარს არმანიო, არ მიყვარს ის ტანჯვა, რომლის მიზეზიც ეს კაციაო. ქალმა გაამხნევა თავისი თავი იმით, რომ თუ ვკოცნი ქმარს, არმანისავე გულისათვისაო და კმაყოფილების თავ-მომწონებით თავი დაჰხარა ქმრის წინ საკოცნელად.

— აი ასეთები ხართ კაცები! სთქვა მან ალერსიანად: — თქვენ გინდათ მაშინვე საჩუქარი მიიღოთ იმისთვის, რომ თქვენი ვალი შეასრულეთ.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

შარდენი საქართველოში

(შემდეგი*)

2-ს ანქი წავიდა ცხენებით და კაცებით, რომლებიც ტფილისიდამ წამოვიყვანეთ. მე და მ. იუსტინე ჩიკარისში დავბრუნდით, რომელიც რვა ვერსზედ არის ქუთაისიდამ. აქ იმიტომ დავდექით, რომ მოგვეცადნა ანქისათვის; ამ სოფლის პირ-და-პირ იდგა გენათელის საზაფხულო სასახლე; სასახლეში მაშინ დედოფალი და გენათელი იმყოფებოდნენ და გაჰრევებაში შევედით შემწეობა გვეთხოვნა მათთვის.

5-ს დედოფალმა და გენათელმა კაცი გამოგვიგზავნეს და შემოგვითვალეს, რომ მათ სანახავად მივსულიყავით. ჩვენ გიახელით და იმ დღეს და შემდეგაც რამდენჯერმე ვისადილეთ იმათთან. მაინც-და-მაინც ეს დიდი პატივისცემა არ არის, რადგან ამ გვარად ეპყრობიან ისინი უკანასკნელს ყმასაც მსახურსაც. დედოფალი ძრიელ მშვენიერია, მაგრამ შეუფერებელი ქცევა აქვს. ისე ლაღობს, თითქო სირცხვილი აღარ იცისო. უწმაწურად ლაპარაკობს, ყველა მის სიტყვადგან გამოსხანს ბიწიერება, მაგრამ ეს არ არის არც საძრახისი და არც სათაკილო ამ ქვეყანაში, რადგან გარყვნილება აქ საზოგადო ბოროტია. იმერეთის დედოფალსაც ისეთი წეულობის წესი აქვს, როგორიც სამეგრელოს დედო-

---

*) იხილე „ივერია" № 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ძაღლები მიესივნენ ლეშს და ჭამა დაუწყეს; იმავ საღამოზედ ყველა ძაღლებს პირიდამ ზიდება დააწყებინა და მეორე დღეს დაიხოცნენ. ასეთივე ამბავი დაემართათ ძაღლებსა და მგლებს ტყეში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე. იქაც თურქულის ავად-მყოფობით დახოცილის ღორების ლეში ეჭამათ და დახოცილიყვნენ. ხალხი ამბობს, რომ ღორებსა და ძაღლებს, უეჭველია, სხვა ჭირიანის საქონლისაგან გადმოედოთ ჟამი და იმითი დაიხოცნენო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც ახლო-მახლო სოფლების ღორებზე არსად შეგვინიშნავს ჭირიო. («კავკაზი»)

⁂ ქიარიმა, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, გადავიდა ოსმალეთის სამზღვარზე და არც საფიქრებელია, რომ ჩქარა გადმოვიდეს ისევ უკან, რადგან მეტად შეაწუხეს ფეხ-და-ფეხ დევნითა. ამას წინედ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეში დაბეჭდილი იყო, რომ ქიარიმა გადმოსულა და ყარსის გუბერნიაში უნახავთო. ახლა ესევე გაზეთი ასწორებს თავის შეცდომას და ამბობს, რომ ჩვენი დაბეჭდილი ამბავი ტყუილი გამოდგაო. ქიარიმად მოსჩვენებიათ ვილაც უბრალო ავაზაკები. „შიშს დიდი თვალები აქვსო“, ამბობს ერთი რუსული ანდაზა.

⁂ ამ უკანასკნელს დროს ქალაქში ძალიან ბევრს ასაღებენ ყალბს ვერცხლის ფულსაო, ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ეს ყალბი ფული უმეტესად სულ აბაზიანებიაო.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, სოფ. მულანლოში, ტფილისის მაზრაში, შემდეგი უბედურება მომხდარა: ალი ნაბი ოღლის 11 წლის ვაჟს ექვს ლულიანი გატენილი რევოლვერი უტრიალებია ხელში და უეცრად ჩახმახი აუწევია და დაუცემინებია. ტყვია მოჰხვედრია იქვე ფანჯარასთან მჯდარს ამ ვაჟის დედას, რომელსაც ყმაწვილი ხელში სჭერია, და მოუკლავს. ორი საათი-ღა უცოცხლია საბრალო დედა-კაცს, ყმაწვილის გაუფთხილებლობის მსხვერპლსა.

⁂ ბათუმში, როგორც იწერება გაზ. „ნორ-დარი“, 8 აგვისტოს, ღამის 4 საათზე ცეცხლი გაჩენილა და დამწვარა 15 დუქანი, ზღვის პირას. ცეცხლი ძალიან გაძლიერდებოდაო, რომ ყოველივე ღონე არ ეხმარათ და არ ჩაექროთო. უმეტესი ნაწილი საქონლისა გადაურჩენიათ.

⁂ 11 აგვისტოს, მე-4 ნაწილში, დილის 4 საათზედ, ტფილისის მცხოვრებელის იაკობ კურკონოვის ფურნეში ყუთი გაუტეხნია კურკონოვისავე მუშას ოსმალეთის ქვეშევრდომს ალი-ოსმან-ოღლის და გაუტანია თავისი ბაშფორთი და 923 მანათი ფული. ეს ფურნე იმყოფება ძველ-ინსტიტუტის ქუჩაზედ, ტერ-მიკირტიჩიანცის სახლებში. დამნაშავე სადღაც გაქცეულა და იმის საპოვნელად ღონის-ძიება მიღებული.

⁂ 13 აგვისტოს, 1 ნაწილში, ვერის ფოსტის სტოროჟი, სამსახურს გარეშე მყოფი ჯარის-კაცი ათანასე რუპპი აივანიდგან გადმოვარდნილა და მძიმედ დაუშავებია მარცხენა ფეხი. დაშავებული სამხედრო სამკურნალოში გაუგზავნიათ.

⁂ ამავე დღეს, გონჩარნი ქუჩაზედ, მიხაილოვის სახლებში მცხოვრებელი სამსახურ გარეშე მყოფი ჯარის-კაცი კარლ ხანასევჩი უპოვნიათ თავის საწოლ ტახტის მოაჯირზე თოკით ჩამომხრჩვალი. დამრჩვალის გვამი საანატომიო კაბინეთში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

დამაკვირდი!

დიდსა თუ პატარაში ამპარტავნება სულთ-დაბლობის ნიშანია. (გოლდონი)

**

გულ-ქვაობას და გაუთლელობას ერთმანეთში ნუ გარევთ: გაუთლელი კაცი შეიძლება კეთილიც იყოს. (ბუსტი)

**

გველსა სწრელით ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი. (შ. რუსთაველი)

**

იუდა ქრისტეს ჰმონებდა,
ჩუმობდა კაის ყმობასა;
სახარბით ცეცხლში ჩავარდა,
მისდა სატანას ძმობასა. (დ. გურამიშვილი)

**

ვერ გსთქვი რაცა, ის წყლულადა
გულს დამშთა და მით ვიტანჯვი!.. (თ. გრ. ორბელიანი)

**

ბერსა კაცსა და ვაგლახსა
მალე დაათრობს მაჭარი.
სიყრმეც, გიყიდდი ფასადა,
თუ მოგიდებდა გაჭარი. (ხევსურთ სიტყვა)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ურიათუბანი, 10-ს მარიამობისთვეს. ძლივს ეღირსა ჩვენ საწყალს ხალხსა რიგიანი მოსავალი: პურის მოსავალი კარგი იყო, თუ ახლა ვენახებმა არ უმტყუნეს; ამათაც ჯერჯერობით კარგი პირი უჩანთ. ქარმა და ხანგრძლივმა სიცხეებმა ძრიელ შეაწუხა ხალხი, მაგრამ ახლა კი აგრილდა; მოვიდა ქუქუნა წვიმა, ყველასათვის მარგებელი.

ორ-სამს წელიწადს ძრიელ შეწუხებულები იყვნენ ურიათუბნის მცხოვრებნი მოუსავლობით; ხარჯი თავისას არ იშლიდა და მოსავალი კი ხელს არ აძლევდა. ნამეტნავად შეაწუხა სკოლისა და მღვდლის სახლის შენობამ. სკოლის ასაშენებლად დირექციამ მისცა 60 თუმანი; ზოგიერთა უსვინიდისო პირებმა და «ფოდრაჩიკებმა» შეჭამეს; სოფელმა 2,000 მანათამდის გადიხადა სკოლის ასაშენებლად. ფულის შეჭმა ხშირად ხდება კახეთში: ეხლაც რამდენსამე სოფელში დირექციიდგან სკოლის ასაშენებლად გამოგზავნილი ფული შეუჭამიათ და სკოლას აღარ აშენებენ, მაგალითებრ, სოფ. საბუეში.

გზები სოფელში ისე გაფუჭებულია, რომ სავსე ურემი გადუბრუნდებათ ხოლმე; პურის მაღაზიის შენობა არა აქეთ რიგიანი, რის გამოც ბევრი პური უფუჭდებათ. ყველა ამას თუ მოხელეებმა არა, აღმორჩეულმა პატიოსანმა კაცებმა მაინც არის უნდა მიაქციონ ყურადღება...

⁂

თავადი დიმიტრი ჭავჭავაძე, რომელიც სამხედრო სამსახურში ემსახურებოდა, ამ ჟამად-კი გამოსული იყო და რამდენიმე წელიწადს სამზღვარ-გარედაც იმყოფებოდა, ამ ბოლოს დროს დაბრუნდა ისევ სამშობლოში ავად-მყოფი და ამ თვის 5-ს თელავში უეცრივ გარდაიცვალა. თელავიდგან სოფ. ურიათუბანში მოასვენეს დასამარხავად. აქ მოწვეულნი იყვნენ თელავის მაზრის სამღვდელონი, თავად-აზნაურნი და გლეხობა. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ბესარიონმა სწირა, წირვაზედ გალობდნენ მგალობლები გურულად. დიდის ამბით დამარხეს მიცვალებული. განსვენებული უცოლშეილო იყო და ამბობენ ფული ბევრი დარჩაო; ანდერძი დაუტოვებია, რომ ფულით ისარგებლონ ნათესავებმა და აგრეთვე მოხმარდეს კეთილს საქმეებსაცაო. მაგალითებრ: ეკკლესიას ან ეკკლესიის კრებულს, სადაც დამარხული იქნება, ეძლიოს წელიწადში ოცი თუმანიო. ამბობენ: ას თუმნამდინ ღარიბ ყმაწვილთა სკოლაში აღსაზრდელად გადუდვიაო..

იმედია, ჩვენის სოფლის სკოლასაც ეშველება ამ გაჭირვებულს დროს; მიცვალებულის მემკვიდრენი ყურადღებას მიაქცევენ და რამდენამდე შეეწევიან, რომ ყმაწვილებისთვის სკამები მაინც არის დამართონ.

თომა კახელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ურალის რკინეულობის მწარმოებლების საქმე ძალიან უკან მიდის. ნიჟეგოროდის ბაზარზე თუ ისყიდება რამე, ისიც ნახევარ ფასად. როგორც მწარმოებელნი, ისე რკინეულობით ვაჭარნი დიდს გაჭირვებაში არიან.

რა საშუალებით ეშველება ამ საქმესაო?—კითხულობს გაზეთი „Московскія Вѣдомости“ და თან თითონვე პასუხს იძლევა: ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ უცხოეთიდამ შემოტანილს რკინას ბაჟი დაედოსო. ეს საქმე ფინანსთა მინისტრის მოვალეობაა და მინისტრს, როგორც გვესმოდა, ამას წინად კიდეც წარედგინა ამ საქმის თაობაზე პროექტი სახელმწიფო რჩევაში.

აი როგორ უწყობენ ხელსა ჩვენს რკინის წარმოებასა. განა შეიძლება ამ გვარად წარმატება დაეტყოს რამე საქმესაო?—ამბობს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს:

ჩვენ ყოველთვის ასე ვჩადივართ: ჩვენ მაშინვე, დაუყოვნებლივ ვასრულებთ, რასაც კი უცხოელები მოისურვებენ, თუნდა იმათი სურვილი სრულიად ძირს ამხობდეს ჩვენ ერის კეთილ-დღეობას და სახელმწიფო ფინანსებსაო. იმის მაგიერ, რომ იმას მივყვეთ, აბა რას გვიბძანებენ უცხოეთიდამაო, არა სჯობია, ჩვენც იმავე გზას დავადგეთ, რომელსაც უცხოელები ადგანან, ე. ი. ჩვენი საკუთარი ინტერესები დავიცვათ და სხვას ყურადღება არ მივაქციოთ? განა გერმანიამ შარშან რომ ხორბალს ბაჟი მოუმატა, იკითხა, ჩვენ გვიამება ეს თუ არაო. რატომ ჩვენ კი არ მივბაძამთ გერმანიასა, მით უფრო, რომ ამ გვარს მაგალითებს პირველად თითონ ისინი გვიჩვენებენო?

ვნახოთ რას მოგვიტანს ჩვენი ასეთი გულ-კეთილობა, ვნახოთ, რას ეტყვის ნიჟეგოროდის ბაზარი ჩვენის რკინეულობის მწარმოებელთა? ვგონებთ მარტო იმას,

---

ფალსა, მაგრამ ამის სუფრა მოწყობილია ვერცხლის ჭურჭლით და ამალაც უფრო მდიდრულად არის მორთული.

8-ს მოვიდა გენათელთან ერთი დიდებული, რომელიც იმერეთის მეფეს გაეგზავნა ტფილისში, და მოახსენა დედოფალს, თუ როგორი შეასრულებინა მინდობილობა. ის გაეგზავნათ რვა ათასის ეკიუს სასესხებლად და გირაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს გვირგვინი ოქროსი იყო და ძვირფასის ქვებით მოჭედილი. ოთხი ათას პიასტრად ეღირებოდა. ფული არავის არ ესესხებინა. საქართველოს მეფეს გაეგო იმერეთის მეფის და დედოფლის გაჭირვება და გამოეგზავნა მათთვის ძღვენი, მეფისთვის—სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ვერცხლი, დედოფლისთვის—ოქრო-ქსოვილი ფარჩა, ატლასი, თავთა და ხუთასი ეკიუ. საქართველოს მეფე იმისთვის იქცეოდა ასე, რომ მათ დიდებულებათ იქნება აესრულებინათ თავიანთ ფიქრი: აეყვანათ შვილად რომელიმე მისი შვილი.

12-ს მეფე ვნახე. შეუძლოდ გამხდარიყო და ჯარიდამ დაბრუნებულს იმან დიდი პატივი გვცა და გვიალერსა; თავისთან დაგვსხა და ძრიელ თავაზიანად გვექცეოდა. მან აყვედრა მ. იუსტინეს, შენ და შენმა ამხანაგებმა ქუთაისს თავი დაანებეთო. მ. იუსტინემ მიზეზად განუწყვეტელი ომები მოიყვანა, «მეც ძრიელ ვწუხვარო, მიუგო მეფემ, მაგრამ ვერა გამიწყვია-რა. მე ერთი საბრალო ბრმა ვარ და რაცა ჰსურთ, იმას მაქმნევინებენო. ვერავისთვის გამიცხადებია ჩემი ხვაშიადი, ვერავის ვენდობივარ, მაგრამ ყველას კი ნებას ვაძლევ და არ შემიძლიან ვაწყენინო ვისმე რამე, რადგან მეშინიან, ვაითუ მომკლევინონო.“ საბრალო მეფე ახალ-გაზდა და მშვენიერი აგებულობისა იყო. თვალები ხელ-სახოცით ჰქონდა აკრული, რომ ჩირქი არ ჩამოსდენიყო, რომელიც სდიოდა მას თვალებიდამ, და საზარელი სენი დაეფარა. ძალიან წყნარი ხასიათის კაცი იყო. ხუმრობა და ოხუჯობა უყვარდა. მ. იუსტინეს უთხრა: ცოლი შეირთე ჩემ ქვეყანაშიო. მ. იუსტინემ მიუგო: არ შემიძლიან, რადგან მეც ისეთივე აღთქმა მაქვს მიცემული, როგორც იმერეთის ეპისკოპოზს და ბერებსაო ..

16-ს, ჯერ ისევ ლოგინში ვიწექი, როდესაც, განთიადისას, ჩემმა ამხანაგმა გამაღვიძა; ჩემდა სასიამოვნოდ, იმან მიამბო, რომ ანჟი ჩემის გატანებულის კაცებით და ცხენებით მისულიყო 9-ს სიპიაში. ძრიელ მოწყენილი და იმედ-გარდაწყვეტილი ენახა იქა. რადგან ჩემი ამბავი ჩემის წამოსვლის შემდეგ სრულებით არა ჰსმენოდა მას და ვერც ვპოვა ვერავითარის ფასით კაცი და ცხენები საქართველოში წამოსასვლელად. როდესაც გაეგო ანჟისაგან ჩემი მშვიდობით ჩასვლა ტფილისში და გაეგო ისიც, რომ ეხლა ქუთაისის მახლობლად ვეცდიდი, საშინლად გაჰხარებოდა და მაშინვე მომზადებულიყო წამოსასვლელად. რაც დამალული ქონება გვქონდა, იმის ნახევარი ამოელაგებინა და წამოეღო. თვეის 12-დინ დეეცადნათ, რომ ცხენები შეესვენებინათ და მერმე წამოსულიყვნენ. ერთი ჩვენი მსახურთაგანი, ყველაზე უფრო სანდო, იქ დეეტოვებინათ, რომ ყური ეგდო, რაც იქ დარჩებოდა. წამოღებას ვერ გაბედავდნენ, რადგან ეშინოდათ, ყველაფერი ერთბაშად არ დავკარგოთო. ჯერ ეს მიამბო და მერმე მითხრა: ნუ შესწუხდები, რასაც ეხლა ვიტყვი, რადგან ყველაფერი ღვთის მადლით კარგად მიდისო, და დაიწყო: 14-ს, შაბათს, საღამოს რვა საათზედ, ჩვენ მშვიდობით მოვედით ქუთაისში. ანჟმა გენათლის სახლში წამიყვანა. მე მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ ახალ-წელიწად დღეს დაგმუქრებიყო შენი დათხოვნილი მსახური. თუ ადრე მცოდნოდა ეს ამბავი, ქუთაისში არ დავდგებოდი. კვირა დილით ანჟმა და ჩვენმა კაცებმა მთხოვეს შუადღემდინ დავრჩომილიყავ, რომ ცოტა შაესვენათ. მე დავთანხმდი და კარგი სადილიც მოვამზადებინე. სადილზედ ვისხედით, როდესაც შემოვიდა ის მუხთალი მსახური ოცის შეიარაღებულის იანიჩარით. „სად არის ჩემი ბატონი?„ შეჰყვირა იმან განრისხებით. იმას ჩემი მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, ეხლა კი მე ის ვეღარ გადამირჩებაო!“ სთქვა და ძებნა დაგიწყო. რომ ვერ გიპოვნა, მეორე ოთახში შევიდა; ეგონა იქ იქნებოდი დამალული. მეც შევყევ თან და თვალცრემლიანმა ვუთხარი: „მეგობარო! რა გიყავ, რომ მღუპავ მეთქი? თუ ჩემი ამხანაგი ცუდად მოგეპყრო, ან არ დაგაკმაყოფილა, მე ამაში დამნაშავე არა ვარ; მთხოვე, რაც გინდა და ეხლავე მოგცემ, მხოლოდ გაიყვანე აქედამ ოსმალები, რომლებიც მოგიყვანია მეთქი.“ —კარგიო, მომიგო იმ მოღალატემ, მე წავიყვან იმათ და ეხლავ თქვენთან დავბრუნდებიო.

შეჯდა ცხენზედ, მიუთითა იანიჩრებს ანჟზედ და უთხრა: დაიჭირეთ ეს კაცი და წაიყვანეთ ციხის უფროსთანაო. საწყალი ანჟი მაშინვე დაიჭირეს და წაიყვანეს. იანიჩრებმა დაიწყეს თვალიერება, უნდოდათ რამე მოეტაცნათ, ეცნენ ჩვენს ნაბდებს და წაიღეს. არც ჩემი იარაღი წაიღეს და არც ჩემს ხურჯინს ახლეს ხელი, რომელშიაც იყო ორმოც-და-ათი-ათას ეკიუდ ღირებული ოქრო და ძვირფასი ქვები. გაიდნენ თუ არა იანიჩრები, მე ერთი მსახურთაგანი გავატანე ანჟს, და შევეხვეწე ჩემს მხლებლებს, რომ გავიქცეთ-მეთქი. ერთს წამში შევკაზმეთ ცხენები, დავბარგეთ და გამოვიქეცით. ღმერთმა მიშველა და,—მადლობა მის სახიერებას და მოწყალებას,—აი აგერ მოვედი და მოვიტანე ყველაფერი, რაც კი წამოვიღე სამეგრელოდამ. იანიჩრებმა ორი პისტოლის საფასი ძლივ წაიღეს.

მ. იუსტინე მაშინვე წავიდა გელათელთან, შესჩივლა დედოფალს, რაც ოსმალებს მოექმედებინათ გელათელის სახლში და შეევედრა, მიეღოთ ღონის-ძიება ანჟის გამოსახსნელად. მ. იუსტინე უკან დაბრუნდა შუა-დღისას და დაგვარწმუნა, რომ ორი დიდებული კაცი გაჰგზავნეს ამ საქმის თაობაზედ ციხის უფროსთანაო. მე ისეთი მეშინოდა ოსმალებისა, რომ მინდოდა მაშინვე წავსულიყავ. ცხენებს დასვენება ეჭირებოდათ. შუადღის უკან ჩემმა ამხანაგმა იქირავა ცხენები სამეგრელოში დასაბრუნებლად, რომ გამოეტანა ის ნივთები, რაც დაგვრჩა კიდევ იქა; ხოლო მე მოვემზადე ტფილისში წამოსასვლელად და მოტანილ განძის წამოსაღებად.

17 ჩემი ამხანაგი და მე დავადექით გზას. ის სამეგრელოსაკენ წავიდა ხუთის კაცით და ოთხის ცხენით; მე და მ. იუსტინე სამის ცხენით და სამის კაცით წამოვედით ტფილისისაკენ. იმავე გზით დავბრუნდი, რომლითაც მოვედი.

22-ს ღამე მოვედი გორში და იქ ორი დღე დავრჩი; უნდა ოქრო დამეხურდავებინა და მ. იუსტინესაც დავხმარებოდი, რომ ქუთაისში დაბრუნებულიყო, რათა წაეღო ჩემი ამხანაგისთვის ფული, წამოეყვანა ის ტფილისში და აგრეთვე ეზრუნა ანჟის გამოხსნაზედ, თუ ის ისევ დატყვევებული იქმნებოდა.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

№182

ამბობს გაზეთი, რომ მუშა ხალხი ათასობით ულუკმო პუროდ დარჩებაო.

ეს პირველი არ არის, რომ „Московскія Вѣдомости" ამას გაიძახის: ბაქით, დიდის ბაქით შეჰკარით უცხო ქვეყნების საქონელი და მფარველობა, შემწეობა აღმოუჩინეთ რუსეთის მექარხნეებს, ფაბრიკანტებს და ვაჭრებს.

⁂

საფრანგეთისა და პაპის შორის განხეთქილება ჩამოვარდა. გაზეთ „Московскія Вѣдомости" ის პარიჟელი კორრესპონდენტი ამის გამო ამბობს:

> ბისმარკმა იმოდენა იცოდილა, რომ პაპიც თავის პოლიტიკაში ჩაიყოლია. თუმცა პაპს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მეორე ხარისხოვან სახელმწიფოსა, მაგრამ პაპის მეგობრობას ბისმარკთან ის მოჰყვა, რომ იტალია და პაპის მთავრობა, რომელნიც აქამდინ დაუცხრომელი მტრები იყვნენ, დღეს საუკეთესო მეგობრებად გარდიქცნენო.

მართლა რომ ძალიან მოხერხებულად მოუწყვია ბისმარკს საქმე. საქმე იმაშია, რომ ბისმარკს უჭირდა იტალიის მეგობრობა საფრანგეთის წინააღმდეგ.

რუსეთი

— ვიღაც ნოსოვის ქარხანაში ყოფილა ერთი მუშა, გვარად ფომინი. ფომინს დაუნებებია თავი სოფლისათვის, მიუტოვებია ცოლი და წასულა სამუშაოდ. ნოსოვის ქარხანაში შეჰყვარებია ვინმე აქსინია და ახალ ცოლ-შვილს მოჰკიდებია. კანონიერს ცოლს მოსწყენია სოფელში ჯდომა და შიმშილი, ამდგარა და თვითონაც წასულა ქალაქ მოსკოვს და სწორედ იმ ქარხანაშივე შესულა სამუშაოდ, სადაც იმისი ქმარი მუშაობდა თურმე. ცოლმა მალე შეამჩნია, რომ იმისი ქმარი აქსინიას გადაჰკიდებია. გამწარებულმა ცოლმა მიჰმართა ამ ქალს: ნუ სდგები ჩემს ცოდოში და დამანებე ჩემი ქმარიო, უთხრა თურმე აქსინიას. ამანაც შეისმინა მუდარა კანონიერის ცოლისა და მოიშორა თავიდამ ფომინი. კაცმა გულ-გრილად ვერ აიტანა ეს ამბავი, დანაღვლიანდა და სმა დაიწყო. ერთხელ კარგა გადაკრულმა გაუგზავნა აქსინიას დუქნიდამ კაცი და შეუთვალა, მოდი ჩემთანაო.—რისთვისა და რის გულისთვისაო, შემოუთვალა თურმე პასუხად ქალმა. ფომინს მოთმინება გამოელია. დანა ჰქონდა გალესილი და უნდოდა თავი მოეკლა. მაგრამ ვიდრე თავს მოიკლავდა, აქსინიასთან წავიდა გამოსათხოვებლად. გამოთხოვების მაგიერ, კაცმა ჩხუბი დაუწყო ქალს და ისე დასჭრა დანით, რომ ქალი მეორე დღესვე გარდაიცვალა. ფომინი თვითვე მიეცა ხელში მართლმსაჯულებას.

— პარიჟში ქიროს წიგნის მაღაზია ჰბეჭდავს დიდს თხზულებას რუსეთისა და ოსმალეთის ომის თაობაზედაო. ამ თხზულებაში ვრცლად არის თურმე ლაპარაკი იმაზე, თუ რა სარგებლობა შეგვიძლიან გამოვიტანოთ ამ ომის შესწავლითაო.

— ახალი ოქროს ფული ამ თთვეში მოიჭრება და დაიწყობს ხალხში ტრიალსაო.

— ახალის სასწავლო წლიდამ განზრახვა აქვთ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას დამართონ რამდენიმე ოთხკლასიანი საქალებო სასწავლებელი სრულიად ახალის პროგრამითაო.

— 28 ივლისს, ხარკოვში თავი მოუკლავს დამბაჩით ერთ ახალ გაზდა ფოსტის მოხელეს კ., რომელიც დანიშნული ყოფილა და ამ დღეებში აპირებდა თურმე ჯვარის დაწერას. ხუთი-ექვსის წლის წინედ, როდესაც კ. ჯერ კიდევ წერილების ქუჩა-ქუჩა დამტარებლადა ყოფილა ფოსტაში, შეხვედრია ერთს ქვრივს ს-ს, მოსწონებიათ ერთმანერთი და დაუწყვიათ ერთად ცხოვრება. ქვრივს ცოტაოდენი ფული ჰქონია პირველის ქმრის დანარჩომი და ამ ფულით უცხოვრიათ და კ—საც აძლევდა ხოლმე ფულსა თურმე. ქვრივს კ—ს ხელში მისცემია ქალ-ვაჟი. ამავე დროს კ—ს ყოფა ცხოვრება განკარგებულა, მოჰკდომია მამა და დარჩომია სამკვიდრო 2,000—3,000 მანათი და პატარა სახლები, მოლოჩნის ქუჩაზედ, ხარკოვში. წერილების დამტარებელი, წერილების ფოსტაში გადამრჩეველი გამხდარა და ჯამაგირიც 30 მანათამდე მომატებია. რომ დაუტყვია, ამას იქით აღარა მაკლია-რა და დაუმოკიდებელი ვარ, ქვრივის შველა აღარ მეჭირვებაო, უკანასკნელს დროს თურმე სულ ეჩხუბებოდა ქვრივსა. ეუბნებოდა თურმე: შენ ჩემი ბორკილი ხარო, შენ რომ არა მყვანდე, ბედნიერი კაცი ვიქმნებოდიო. დაუწყვია ერთს თავის შორ-ნათესავის ახალ-გაზდა ქალის სახლში სიარული, ქალი მოსწონებია და დანიშნულა. ჯვარის-წერის წინა დღეს, ქვრივი სამჯერა ყოფილა კ-სთან, მაგრამ არ შეუშვიათ. მეოთხედ ძალით შევარდნილა და უთხოვნია: «ნუ დამღუპავ, მიყვარხარო. რაც მქონდა და მეშოვებოდა, სულ შენზედ დავხარჯე და ახლა რაღა ვქნაო. დღე და ღამე ვიმუშავებ, ოღონდ სხვას ნუ შეირთავ და ჩემთან იცხოვრეო.» მაგრამ ვაჟს ყური არ უთხოვებია იმის ცრემლებისათვის და სახლიდგან გაუგდია. კიდევ რამდენჯერმე ცდილა საბრალო ქალი, მაგრამ სახლში არ შეუშვიათ. ჯვარის-წერის დღეს წასულა ეკკლესიაში და სტუმრებისთვის უამბნია თავისი ამბავი, მაგრამ იქაც არავინ გამოსჩენია მონუგეშე და პირიქით დამუქრებიან: თუ აქ იქნები და ჯვარის წერის დროს ერთს ალიაქოთს მოახდენ, ტყავს გაგაძრობთო! ბოლოს მღვდელს შეხვეწნია: მიშველე, მირჩიე რამეო. მღვდელს უთქვამს: საპატარძლოსთან წადი, იმას სთხოვე და იქნება შეგიბრალოსო. დაუჭერია ხელში თავის ორივე ყმაწვილი, წასულა საპატარძლოსთან, დაუჩოქნია იმის წინ და ცრემლის ღვრითა და ტირილით უამბნია თავისი ამბავი. ისე შეჰბრალებიათ იქ მყოფთ ეს ქალი, რომ ცრემლები მორევიათ თვალებში. საპატარძლოს უთქვამს: «თუმცა მიყვარს ნიკოლოზი, მაგრამ შენ არ გაგაუბედურებ და არამც თუ არ მივთხოვდები, თვალითაც კი აღარ დავენახვებიო.» მისულა თუ არა ვაჟი ეკკლესიაში, ამავე დროს ქალისაგანაც მოუტანიათ ამბავი, რომ ქორწინება აღარ მოხდება ქვრივის თხოვნითაო. ვაჟი მაშინვე გაქცეულა სასიმამროს სახლში, მაგრამ არ მიუღიათ. ვაჟი წასულა სახლში, დამბაჩა დაუცლია პირში და თავი მოუკლავს. პოლიციას გაუსინჯავს და ორი წერილი უპოვნია თვით-მკვლელისა. ერთი საპატარძლოსთანა ყოფილა მიწერილი და მეორე საყვარელთან. პირველში წერებულა: „საყვარელო მანია! რაზედ დამღუპე? მე თავს ვიკლავ და მხოლოდ იმისთვის მეძნელება სიკვდილი, რომ შენ უნდა განგშორდეო." მეორეში დაუწერია: „ამ წერილის მიღებისათანავე, მოდი და ჩემი სისხლი დალიე. შენ დიდიხანია ჩემი დაღუპვა გინდოდა და აკი დამღუპე კიდეცა. ყველასათვის, ვისაც კი რამე დაუშავებია ჩემთვის, მიპატივებია და შენკი თვით განკითხვის დღესაც არ გაპატივებო."

დეპეშა

აგვისტოს 13-სა

პეტერბურგი. ბოლგარიაში მომხდარის საქმეების გამო ვექსილის კურსმა დაიწია $23\frac{9}{32}$-მდე ლონდონს, 197½ ბერლინს და 245½ პარიჟზე. ოქრომ-კი აიწია: ხუთ მანათიანი 8½ მანათამდე ავიდა.

მთავარი ბატენბერგი გემით რენამდინ მისულა, აქედამ ვოლჩინსკიზე ავსტრიაში წასულა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში მართებლობამ გამოაცხადა, რომ ინგლისი გულის ჩაჩქოლით ადევნებს თვალ-ყურს ბოლგარიის საქმეებსაო; ეხეც უთქვამს მართებლობას, რომ რუსეთთან შევთანხმდით და შუა აზიაში გამმიჯვნელს კომისიას ვითხოვთო.

მიუნჰენი. «Algemeine Zeitung»-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია. პარასკებ საღამოს მთავარ-ალექსანდრეს სასახლეს კუსტენდილის პოლკი შემოერტყა; აფიცრები შეცვივდნენ თურმე მთავრის საწოლს ოთახში და ძალით მოაწერინეს ხელი ტახტის უარ-ყოფის ოქმზეო. დილის ხუთს საათზე მთავარი და მისი ძმა წაიყვანეს სასახლიდამ და სამის დღის განმავლობაში არავინ იცოდა, სად ჰყავდათ დამალულიო. ორშაბათს საღამოს მთავარი რაბოვში გემში ჩასვეს და მდინარე დუნაიით ქვემოდ წავიდაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

15 დღე პარასკევი. მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. მიცვალება ღვთის-მშობლის მარიამისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—22. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43; მთვარე ამოდის 2—50, ჩადის 4—52.

16 დღე შაბათი. ხელთ-უქმნელის ხატისა უფლისა იესო ქრისტესი. კათოლ. წმ. ალმსაარ. ვიაცინტასი. სომეხ. ნავაკატიკი. დღესასწ. წმ. ეჩმიაძინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—5. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—41; მთვარე ამოდის 4—0, ჩადის 5—40.

17 დღე კვირა. მოწ. მირონისა. კათოლ. მე-8 დღე. წმ. ლავრენტის წამებისა. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. ყურძნის კურთხევა. ამ დღიდგან 9 დღე ნახატონაქი აქვსთ. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—47. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—20.

18 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფლორესი, ლავრესი და სხ. კათოლ. წმ. ალმსაარ. როხისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი და ნახატონაქი. მუსულ. 1 რიცხვი ზილჰიჯას თთვისა, 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—29. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—38; მთვარე ამოდის 6—27, ჩადის 7—0.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½	
› › 2 ›	2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	4½	›
მე-2 ხარისხისა . .	3½	›
მე-3 — . . .	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	12	›
ცხვრის ხორცი . . .	6	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

* * *

ტფილისის ქალაქის საბჭოს 1886 წ. 10 იანვრის დადგენილობის თანახმად, ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 15 აგვისტოდგან, კვლავ შეცვლამდე, შემდეგი ნიხრია დაწესებული წყალზე, რომელიც მეთულუხჩებს მოაქვთ:

მტკვრის ნაპირიდგან:

პოლიციის 1-ლს ნაწილში

საპიორნი ქუჩამდე——	¾	კაპ.	ვედ.
გრიბოედოვის ქუჩ. — —	1	„	„
ლაბორატორიის ქუჩ.— —	1½	„	„
ამაზე ზემოდ — —	2	„	„

2-რე ნაწილში

გრიბოედოვის ქუჩამდე —	1	კაპ.	„
ლაბორატორიის ქუჩ.— —	1½	„	„
ზემოდ— — — —	2	„	„

მე-3 ნაწილში

მუხრანის ქუჩამდე— —	¾	„	„
გოლოვინის პროსპექტამდე	1	„	„

მე-4 ნაწილში

ქალაქის სასახლამდე— —	¾	„	„
ბაღის ქუჩამდე — —	1	„	„
კოჯრის ქუჩ. — —	1½	„	„
ამაზე ზემოდ— — —	2	„	„

მე-5 ნაწილში

მეჩეთის შესახვევამდე —	¾	კაპ.	„
მეორე ციხის შესახვევამდე	1	„	„

მე-6 ნაწილში

ქვემო ავლაბრის ხიდიდგან კარანცოვის ქუჩამდე —	¾	„	„
ძველ-ციხის შესახვევამდე —	1	„	„
ამაზე ზემოდ — —	1½	„	„

მე-7 ნაწილში

კახეთის ქუჩამდე — —	¾	„	„
პოკროვის ყაზარმებსა, ავლაბრის მოედნისა და პეტრე-პავლეს ქუჩამდე	1	„	„
ამაზე ზემოდ — —	1½	„	„

მე-8 ნაწილში

რიყისა და ნიკოლაევის ქუჩამდე — — —	¾	„	„
ამაზე ზემოდ — —	1	„	„

მე-9 ნაწილში

ელიზავეტის ქუჩ.— —	¾	„	„
ავჭალის ქუჩ. — —	1	„	„
ამაზე ზემოდ — —	1½	„	„

მე-10 ნაწილში

ელიზავეტის ქუჩ. — —	¾	„	„
ავჭალის ქუჩ. — —	1	„	„
ამაზედ ზემოდ — —	1½	„	„

შენიშვნა: 1) ყველა წყლის-მზიდავს—მეთულუხჩეს თან უნდა ჰქონდეს წყლის ნიხრი; 2) წყლის საზიდავს—„კვდრას" გამგეობის ბეჭედი უნდა ჰქონდეს; 3) იმავე ფასით, როგორც ნიხრშია ნათქვამი, უნდა ეზიდებოდნენ წყალსა სახლის მეორე სართულშიაც. მესამე და მეოთხე სართულში წყლის ატანა კი მეთულუხჩესთან ცალკე მორიგებაზედ არის დამოკიდებული და 4) ის, ვინც ყველა ზემოდ ხსენებულს განკარგულებას გამგეობისას დაარღვევს და არ შეასრულებს, დაისჯება მომრ. მოს. კანონ. 29 მუხლის ძალით. (3—1)

განცხადებანი

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲜᲐ ᲚᲘᲡᲔᲜᲙᲝᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კადეცკი კორპუსის მახლობლივ, არტაზოვის სახლში № 12. (6—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—6)

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოესი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 14 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.